თავი 13 მართვა და მონიტორინგი

სარჩევი

13 მართვა და მონიტორინგი 13-1
13.1 შესავალი..... 13-1
13.2 ESIA-ს დამატება..... 13-1

13 მართვა და მონიტორინგი

13.1 შესავალი

BP-ს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისადმი მიდგომა ეფუძნება ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის პრინციპს - „დაგეგმვა, შესრულება, შემოწმება, მოქმედება“ ყველა იმ საქმიანობაში, რომელზეც BP არის პასუხისმგებელი.

ეს პრინციპები მოიცავს:

- დაგეგმვა - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების წინასწარი შეფასება.
- შესრულება - პროექტის და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია თავიდან აიცილოს, შეამციროს ან მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური ზემოქმედება.
- შემოწმება - განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების და ეფექტურობის მონიტორინგი.
- მოქმედება - გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების აუდიტი და მეთვალყურეობა.

13.2 ESIA-ს დამატება

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მე-13 თავში წარმოდგენილია დეტალური აღწერა, თუ როგორ იქნება გამოყენებული ზემოთ აღნიშნული პრინციპები შემოთავაზებული SCPX პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე. SCPX მილსადენის შეცვლილი საინჟინრო პროექტი, ESIA-ს დამატებაში აღწერილი, შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების ჩათვლით სავარაუდოდ არ მოახდენს გავლენას მიდგომაზე, რომელიც განისაზღვრა ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგისთვის. შესაბამისად, მართვის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მე-13 თავში შეიძლება გამოყენებული იქნას SCPX მილსადენის დამატებითი მონაკვეთებისთვისაც.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვა შემოთავაზებული დამატებითი მონაკვეთების მშენებლობის ფაზაზე განხორციელდება სამშენებლო ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემის (ESMS) დანერგვით, რომელიც მოიცავს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის და მონიტორინგის გეგმის (ESMMP) დამატებას (მოცემულია დანარში D) და დამხმარე დოკუმენტაციას. ESIA-ს დამატება მოიცავს თემატური გეგმების ნაკრებს (მაგ. ნარჩენების მართვა, დაბინძურების პრევენცია), რომლებიც განახლებულია კონკრეტული უბნებისთვის და ეხება ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშვება ESIA-ს დამატებაში აღწერილი დამატებითი სამუშაოების შედეგად. ვალდებულებათა რეესტრი, რომელიც მოცემულია დანართში E, წარმოადგენს ამ დოკუმენტში მოცემული ყველა ვალდებულების განმსაზღვრელ წყაროს.

ექსპლუატაციის ფაზაზე SCPX მილსადენი, დამატებითი მონაკვეთების ჩათვლით, ჩაერთვება BP-ს აზერბაიჯანი საქართველო თურქეთის (AGT) სახმელეთო მილსადენების ექსპლუატაციის ფაზის ESMS-ში და დაექვემდებარება BP-ს არსებულ პოლიტიკას. ეს დეტალურად განხილულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავებში 6.7 და 13.4.